საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/15 " 31 " იანვარი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მოსამართლის შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში, ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით განსაზღვრული საქმეები გადაეცემა ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად შერჩეულ მოსამართლეს. სამსახურებრივი უფლებამოსილების განახლების შემდეგ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ი“ ქვეპუნქტებითა და მე-3-მე-4 პუნქტებით განსაზღვრული საქმეები უბრუნდება თავდაპირველ მოსამართლეს, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმეები მოსამართლის მიერ მოხსენებითი ბარათით მიმართვის შემთხვევაში დაუბრუნდება თავდაპირველ მოსამართლეს.“;

ბ) მე-4 მუხლის:

ბ.ა) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. მოსამართლის მიერ არანაკლებ 7 დღით შვებულებით ან სამსახურებრივი მივლინებით სარგებლობისას, ასევე, წინასწარ ცნობილი დროებითი შრომისუუნარობის გამო მოსამართლისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, მასზე არ ნაწილდება საქმეები (გარდა მორიგეობის დროს შემოსული საქმეებისა) სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებამდე 1 სამუშაო დღით ადრე - რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში, 3 სამუშაო დღით ადრე - სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში.“;

ბ.ბ) მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. მოსამართლის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენებისას, ასევე მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის, სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში გადასვლის ან სხვა სასამართლოში მივლინების

შემთხვევაში, მის წარმოებაში არსებული საქმეები ნაწილდება სხვა მოსამართლეებზე ამ მუხლის შესაბამისად. იმავე სასამართლოს კოლეგიის/პალატის სხვა სპეციალიზაციაში მოსამართლის გადასვლის შემთხვევაში, მის წარმოებაში არსებული ის საქმეები, რომლებზეც არსებითი განხილვა არ არის დაწყებული, მოსამართლის მიერ მოხსენებითი ბარათით მიმართვის შემთხვევაში, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით ნაწილდება სხვა მოსამართლეებზე ამ მუხლის შესაბამისად. უფლებამოსილების შეწყვეტიდან ან სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში/სპეციალიზაციაში უფლებამოსილების შესრულების დაწყებიდან არაუმეტეს 3 თვის ვადაში ყოფილი მოსამართლის იმავე თანამდებობაზე გამწესების, ხოლო მოქმედი მოსამართლის იმავე სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში/სპეციალიზაციაში გადასვლის შემთხვევაში ამ პუნქტით განაწილებული საქმეები მოსამართლის მიერ მოხსენებითი ბარათით მიმართვის შემთხვევაში დაუბრუნდება თავდაპირველ მოსამართლეს.";

გ) მე-5 მუხლის მე-12 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი